მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

ოქტომბერი, 2024

ძირითადი ცვლილებები

- 2024 წლის სექტემბერში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 8.3 პროცენტი, ხოლო 2024 წლის პირველი 9 თვის საშუალო ზრდა 9.8 პროცენტზე დაფიქსირდა

- ოქტომბერში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 0.3 პროცენტი და საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 1.2 პროცენტს

- სექტემბერში ექსპორტი გაიზარდა წლიურად 17.0 პროცენტით და იმპორტი შემცირდა წლიურად 4.2 პროცენტით, რამაც სავაჭრო დეფიციტი 17.3 პროცენტით შეამცირა წლიურად და გაუტოლდა 708 მლნ აშშ დოლარს

- სექტემბრის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაუფასურდა 9.2 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 0.5 პროცენტით წინა თვესთან

- ოქტომბერში საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8 პროცენტზეა

- ოქტომბრის ბოლოსთვის, საქართველოს სუვერენული რეიტინგები შემდეგია:

  Fitch „BB სტაბილური“ S&P „BB სტაბილური“ Moody’s „Ba2 სტაბილური“

წინასწარი შეფასებით სექტემბერში ეკონომიკურმა ზრდამ 8.3 პროცენტი შეადგინა

ეკონომიკური ზრდა, % წ/წ



- წინასწარი შეფასებით, 2024 წლის სექტემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 8.3 პროცენტი შეადგინა, 2024 წლის იანვარი-სექტემბრის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 9.8 პროცენტია, ხოლო სეზონურად მოსწორებულმა ეკონომიკურმა ზრდამ სექტემბერში წინა თვესთან შედარებით -1.6 პროცენტი შეადგინა.

- 2024 წლის სექტემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: მშენებლობა, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, ტრანსპორტი და დასაწყობება, ვაჭრობა.

ეკონომიკური ზრდა, % თ/თ



ეკონომიკური ზრდა 2024-2019



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2024 წლის პირველ კვარტალში რეალური მშპ საშუალოდ გაიზარდა 8.4 პროცენტით





წყარო: საქსტატი

- წინასწარი შეფასებით, 2024 წლის მეორე კვარტალში ეკონომიკა 9.6 პროცენტით გაიზარდა, ხოლო პირველი კვარტლის ზრდა 8.4 პროცენტით განისაზღვრა. 2024 წლის მეორე კვარტლის ზრდა 2019 წლის მეორე კვარტალთან შედარებით 33.5 პროცენტიან ზრდას გულისხმობს.
- 2024 წლის მეორე კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
  - განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა: 35.7 % (1.2 პ.პ.)
  - განათლება: 21.3 % (1.2 პ.პ.)
  - შინამეურნეობების საქმიანობები: 17.3 % (0 პ.პ.)
  - ტრანსპორტი და დასაწყობება: 16.1% (1.6 პ.პ.)
  - სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება 13.3 % (0.9 პ.პ.)
  - ადმინისტრაციული საქმიანობები 13.1 % (0.1 პ.პ.)
  - მშენებლობა: 13.0 % (0.8 პ.პ.)
  - პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები: 12.7 % (0.2 პ.პ.)
- კლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
  - ელექტროენერგიის მიქოდება: -6.3% (-0.2 პ.პ.)

ოქტომბრის წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 0.3 პროცენტი

მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ



ინფლაციის დეკომპოზიცია



საბაზო ინფლაცია



ინფლაციის დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი, სებ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სავაჭრო დეფიციტი სექტემბერში წლიურად შემცირდა 17.3 პროცენტით

ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ



იმპორტის ცვლილება, % წ/წ



ექსპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ



იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ



- სექტემბერში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 17.0 პროცენტით და გაუტოლდა 615.6 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად შემცირდა 8.6 პროცენტით და გაუტოლდა 217.8 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად შემცირდა 4.2 პროცენტით და გაუტოლდა 1 323.5 მლნ აშშ დოლარს.
- სავაჭრო დეფიციტი წლიურად შემცირდა 17.3 პროცენტით და გაუტოლდა 707.9 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წვლილმა ექსპორტის ზრდაში შეადგინა 20.9 პროცენტი (38.8 %წ/წ), ხოლო ნედლეულის ექსპორტმა შეიტანა უარყოფითი, -2.0 პროცენტიანი წვლილი (-13.6 %წ/წ).
- საინვესტიციო, შუალედური და სამომხმარებლო საქონლის იმპორტის წვლილმა იმპორტის წლიურ ზრდაში შეიტანა -8.6, 1.6 და 2.8 პროცენტი, შესაბამისად.

წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საერთაშორისო ვაჭრობა ხასიათდება სტაბილური დივერსიფიკაციით

ექსპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი ექსპორტის %



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, სექტემბერი



იმპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი იმპორტის %



იმპორტი ქვეყნების მიხედვით, სექტემბერი



- **ექსპორტის ტოპ საქონელი:**
  - მსუბუქი ავტომობილები: 284.5 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 46.2 პროცენტი.
  - ეთილის სპირტი: 23.8 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 3.8 პროცენტი.
  - ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები: 21.9 მლნ აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 3.6 პროცენტი.

- **იმპორტის ტოპ საქონელი:**
  - მსუბუქი ავტომობილები: 224.2 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი იმპორტის 16.9 პროცენტი.
  - ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 101.7 მლნ აშშ დოლარი - მთლიანი იმპორტის 7.7 პროცენტი.
  - სამკურნალო საშუალებები დაფასოებული: 46.6 მლნ აშშ დოლარი - მთლიანი იმპორტის 3.5 პროცენტი.

- **ექსპორტის ტოპ ქვეყნები:**
  - ყირგიზეთი: 162.5 მლნ. აშშ დოლარი, - 26.4 პროცენტი.
  - ყაზახეთი: 96.7 მლნ. აშშ დოლარი, - 15.7 პროცენტი.
  - აზერბაიჯანი: 68.3 მლნ. აშშ დოლარი - 11.1 პროცენტი.

იმპორტის ტოპ ქვეყნები:
  - ევროკავშირი: 351.2 მლნ. აშშ დოლარი, - 26.5 პროცენტი.
  - თურქეთი: 221.2 მლნ. აშშ დოლარი, - 16.7 პროცენტი.
  - ჩინეთი: 161.4 მლნ. აშშ დოლარი - 12.2 პროცენტი.

წყარო: საქსტატი

2024 წლის სექტემბერში დაფიქსირდა წმინდა ფულადი გზავნილების 3.0 პროცენტიანი კლება

წმინდა ფულადი გზავნილები, 2024-2019



წმინდა ფულადი გზავნილები, სექტემბერი 2024

ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი)	ცვლილება, %წ/წ	წვლილი ზრდაში, პპ
იტალია	48.5	13.6	2.3
აშშ	48.0	19.0	3.0
რუსეთი	32.1	-43.0	-9.4
გერმანია	24.8	19.8	1.6
საბერძნეთი	20.9	8.3	0.6
ისრაელი	20.2	20.7	1.3
სხვა	55.0	-10.2	-2.4

წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით



- 2024 წლის სექტემბერში წმინდა ფულადმა გზავნილებმა შეადგინა 249.5 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3.0 პროცენტით ნაკლებია, ხოლო 2019 წელთან შედარებით 92.9 პროცენტით მეტია.
- წმინდა ფულადი გზავნილები გაიზარდა:
  - აშშ: 19.0 პროცენტი (3.0 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
  - იტალია: 13.6 პროცენტი (2.3 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
  - ყირგიზეთი: 115.7 პროცენტი (1.8 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
- წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა:
  - რუსეთი: -43.0 პროცენტი (-9.4 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
  - ყაზახეთი: -60.9 პროცენტი (-4.1 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
  - ერაყი: -91.1 პროცენტი (-0.8 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)

წყარო: სებ

სექტემბერში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 9.2%-ით გაუფასურდა

ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში



შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას

	1 ნოემბერი, 2024	1 ნოე 2024 - 1 იან 2024	1 ნოე 2024 - 1 იან 2023
ევრო	2.9810	-0.2%	-3.2%
აშშ დოლარი	2.7427	-1.9%	-1.5%
თურქული ლირა	0.0801	13.6%	80.1%
რუსული რუბლი	0.0282	6.1%	30.4%
ნომინალური ეფექური გაცვლითი კურსი	190.55	2.3%	15.8%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (სექტემბერი 2024)	139.80	-5.5%	-3.8%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ)

ოქტომბერში საგადასახადო შემოსავლები 2.4 პროცენტით აღემატება პროგნოზს

ნაერთი ბიუჯეტის შესრულება, ოქტომბერი 2024



ნაერთი ბიუჯეტი, მლნ ლარი



გადასახადიდან მიღებული შემოსავალი, % წ/წ



ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, მლნ ლარი



- 2024 წლის სექტემბერში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 1,868 მლნ ლარი, რაც 2.4 პროცენტით აღემატება დაგეგმილ მაჩვენებელს.

- 2024 წლის სექტემბერში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები წლიურად გაიზარდა 21.7 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 6.9 პროცენტით.

- ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთაავრობის დანაზოგს, შეადგინა 617.1 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო კი განისაზღვრა 138.3 მლნ ლარით.

- 2024 წლის სექტემბერში, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის წლიურ ზრდაზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონია დამატებული ღირებულებისა და მოგების გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა, შესაბამისად 9.5 და 7.7 პროცენტიანი კონტრიბუციებით მთლიან ზრდაში.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფასიანი ქაღალდების პორტფელის სტრუქტურამ განიცადა უმნიშვნელო ცვლილება

პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი



საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი



ობლიგაციების ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი



ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით (30 სექტემბერი)



- 2024 წლის ოქტომბერში ჩატარდა 6 გამოშვებისა და 1 გამოსყიდვის აუქციონი. სახაზინო ფასიანი ქაღალდების ჯამურმა გამოშვების მოცულობამ შეადგინა 306.7 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 8.282% შეადგინა. ივლისი
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის და 3, 5, 7 და 11 წლის ნარჩენი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 268.95 მლნ ლარის მოცულობის სახაზინო ვალდებულებები.
- 2024 წლის 31 ოქტომბრისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის დაახლოებით 34% ფორმირებულია იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 3-5 წლის განმავლობაში. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ფორტფელში ასევე დიდი წილი უკავია 1-დან 3 წლამდე ობლიგაციებს (დაახლოებით 27%).
- მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (სექტემბერი 2.32) შედარებით შემცირდა და 2.19 შეადგინა.
- ოქტომბერში სახაზინო ფასიანი ქაღალდების დარჩენილი საშუალო შეწონილი ვადიანობამ 3.53 წელი შეადგინა (სექტემბერი 3.46 წელი).

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სექტემბერში სესხებისა და დეპოზიტების ლარიზაციის დონემ ზრდა განიცადა

სესხების ლარიზაცია





დეპოზიტების ლარიზაცია





- 2023 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 56.5 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 74.1 პროცენტი შეადგინა.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 36.7 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 50.2 პროცენტს უტოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 65.1 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 35.6 პროცენტს შეადგენს.
- ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 56.5 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უტოლდება 46.4 პროცენტს უტოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 43.9 პროცენტს შეადგენს.

წყარო: სებ

სექტემბერში სესხების წლიური ზრდის ტემპები მაღალ დონეზე ნარჩუნდება







- 2023 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 19.8 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 22.6 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 17.3 პროცენტს შეადგენს.
- 2023 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 23.3 პროცენტს გაუტოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 14.9 პროცენტს გაუტოლდა.
- 2023 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 20.4 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები, რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 25.6, ხოლო იპოთეკური სესხები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, 15.7 პროცენტით გაიზარდა.

წყარო: სებ

დეპოზიტების წლიური ზრდის ტემპი იზრდება







- მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2023 წლის 30 სექტემბრის 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16.4 პროცენტს შეადგენს.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუტოლდა 19.9 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 13.0 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 17.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდის მნიშვნელობა 14.9 პროცენტს გაუტოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 2023 წლის ოქტომბრის დასაწყისში შეადგინა 0.8 პროცენტი.
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 33.8 პროცენტს გაუტოლდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ შეადგინა 9.5 პროცენტი.

წყარო: სებ

ოქტომბერში სებ-მა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8 პროცენტზე დატოვა

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი



- საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2024 წლის 23 ოქტომბერს რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად 8 პროცენტიან ნიშნულზე დატოვა.

- სებ-ს მიხედვით, ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელზე (3 პროცენტი) დაბალია. ამის უმთავრესი მიზეზია საშინაო ფაქტორები, კერძოდ, ადგილობრივად წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ინფლაციის სტაბილური დონე და გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის ეფექტები. ამ კუთხით, ასევე მნიშნელოვან როლს თამაშობს გაზრდილი კონკურენცია ბაზრებზე, რაც დისინფლაციას უწყობს ხელს. ასევე აღსანიშნავია, მოსალოდნელზე მეტად გაზრდილი ეკონომიკური აქტივობები, თუმცა პარალელურად წარმოების პოტენციალის ზრდა ინფლაციურ მოლოდინებს ამსუბუქებს. საგარეო ფაქტორებიდან ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ გლობალური ეკონომიკური გაურკვევლობა და რეგიონალური გეოპოლიტიკური დაძაბულობა (უკრაინა, ახლო აღმოსავლეთი), რამაც შესაძლოა ინფლაციური წნეხი წარმოქმნას, მაღალ დონეზე რჩება. გარდა ამისა წითელი ზღვის აკვადორიაში მიმდინარე ტრანსპორტირების ხარჯების ზრდის საფრთხეებს წარმოშობს, რაც იმპორტირებული პროდუქციის გაძვირების რისკს აჩენს. მიმდინარე წლის ოქტომბერში ფაქტობრივმა ინფლაციამ 0.3 პროცენტი შეადგინა. მოსალოდნელია, რომ 2024 წლის ბოლოს ინფლაცია მიზნობრივი ინფლაციის ირგვლივ იმოძრავებს.

- მონეტარული პოლიტიკის შემდეგი სხდომა 2024 წლის 18 დეკემბერს ჩატარდება.

- 2024 წლის ოქტომბერში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ინტერვენციები აუქციონის მეშვეობით განახორციელა და ჯამურად 213.4 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

წყარო: სებ

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაზე მზარდია, ეროვნულ ვალუტაზე კი მცირდება

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე





- 2024 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.2 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით 9.9 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10.0 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით 3.0 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 2.2 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 9.9 პროცენტს შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.0 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 17.8 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.6 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.4 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 17.6 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 7.5 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2024 წლის სექტემბრის ბოლოს 12.5 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით 9.5 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 12.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 6.9 პროცენტი.

წყარო: სგბ

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16
ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407
ელ. ფოსტა: info@mof.ge; www.mof.ge

საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო